ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
# მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01182751432**
თარიღი: **02/10/2018**
პინი: **0104**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

**ადრესატი:** ლავრენტი ჯინჭარაძე
**პირადი ნომერი:** 12001030459
**მისამართი:** საქართველო, ქალაქი თბილისი, იოანე პეტრიწის ქუჩა, N 16, ბინა 3

ბატონო ლავრენტი,

სამსახურში შემოსული თქვენი N19/01180711180-17 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის (საკ. კოდი 01.06.009.042) 2017 წლის 23 ოქტომბრის N3630519 (AR1548755) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს $25^{1}$-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

ფასადების მოპირკეთება ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს. ნაწილობრივ შეცვლილია გრუნტის ზედაპირის ნიშნულები. ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრების ნახატი. ფასადებზე, აივნების ნაწილზე კაპიტალურ კედლებზე ფიქსირდება გამწოვი მილებისთვის განკუთვნილი ხვრელები, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია ამავე კედლების გაბარიტები. ნაწილობრივ შეცვლილია მოაჯირების ნახატი და მასალა. ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების გაბარიტები. რიგელების მოწყობა არ შეესაბამება პროექტში ნაჩვენებს. კერძოდ, მათი კვეთი, რაოდენობა და მდებარეობა. მონოლითური და კაპიტალური კედლების დაფერვა არ შეესაბამება საპროექტოს. დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები. შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტები. შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების რაოდენობა და მდებარეობა. +54.90 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე. პროექტში არ არის ნაჩვენები ლიფტის სამანქანოსთვის განკუთვნილის ფილის დონე.

**„ა-ზ“ ფასადი:** ±0.00 ნიშნულზე „ა-ბ“ მონაკვეთში ღიობში დამატებით მოწყობილია ფანჯარა. +17.70 ნიშნულზე „ბ“ ღერძთან აივნის ძირზე ფიქსირდება დეკორატიული ელემენტები.

**„ზ-ა“ ფასადი:** „ე-დ“ მონაკვეთში კიბის უჯრედთან შეცვლილია ღიობების გაბარიტები, ასევე ამავე მონაკვეთში დამატებით მოწყობილია რიგელები და კოლონები.

**„4-1“ ფასადი:** +54.90 ნიშნულზე „2-1“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ღიობი.

**„2-2“ ჭრილი:** პროექტში არ არის ნაჩვენები ლიფტის შახტის ორმო.

**გეგმების მიხედვით:** -3.00 ნიშნულზე შენობის კონტურზე შემცირებულია მონოლითური კედლების სისქე. -3.00 ნიშნულზე „ე“ ღერძზე „1-2“ მონაკვეთში და „2“ ღერძზე „დ-ე“ მონაკვეთში მონოლითურ კედლებს მონაცვლებული აქვთ ადგილი, ხოლო „4“ ღერძზე „გ-დ“ მონაკვეთში გაუქმებულია მონოლითური კედელი. -3.00 ნიშნულზე „4“ ღერძზე „ა-გ“ მონაკვეთში მონოლითურ კედლებში მოწყობილია ღიობები. ±0.00 ნიშნულზე შენობის კონტურზე ღიობების ნაწილი სრულად არის შევსებული. ±0.00 ნიშნულზე შენობის შიგნით გაუქმებულია პარკინგი. ამავე ნიშნულზე „4“ ღერძის გარეთ მოწყობილია კოლონები, რიგელები, ფილები და კაპიტალური კედლები, რის გამოც გაზრდილია ფართი და ტერიტორიაზე გაუქმებულია პარკირების ნაწილი. +3.70 ნიშნულზე „4“ ღერძის გარეთ „დ-ზ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საზაფხულო ფართი, ასევე „3“ ღერძთან დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი. +51.70 ნიშნულზე შეცვლილია სადარბაზოში კედლების მდებარეობა და შემცირებულია მისი ფართი. ამავე ნიშნულზე შეცვლილია ღიობების რაოდენობა, მდებარეობა და გაბარიტები. +51.70 ნიშნულზე „4“ და „დ“ ღერძების კვეთაზე დამატებით მოწყობილია კოლონა, ხოლო „დ“ ღერძზე „1“ ღერძის შიგნით გაუქმებულია კოლონა, ასევე „ა“ ღერძზე გაუქმებულია კოლონები. +51.70 ნიშნულზე

ნაწილობრივ შეცვლილია გარე კონტურზე კედლების მდებარეობა, ასევე „3-4“ და „ა-დ“ მონაკვეთებში შემცირებულია ფილის გაბარიტი და შეცვლილია მისი ფორმა. +54.90 ნიშნულზე შეცვლილია პარაპეტის კონფიგურაცია.
დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს $25^{1}$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.
**პატივისცემით,**

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“ (ID 202235296)
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 04/19

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“(ID 202235296)
№63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„15“ იანვარი 2019წ

## საექსპერტო კონსტრუქციული დასკვნა

**ქალაქი თბილისი, იოანე პეტრიწის ქუჩა, №2ბ (ძველი მისამართი: ქალაქი თბილისი, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, (ნაკვეთი 09/033)), შ.პ.ს. „აკა“-ს (ID 404983791) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, ს/კოდი №01.10.06.009.042 IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის სამშენებლო დოკუმენტის (პროექტის) დარღვევით განხორციელებული მშენებლობის ვარგისიანობის, უსაფრთხოებისა და დარღვევების გათვალისწინებით, არსებული შენობის საერთო მდგრადობის შესახებ.**

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის სპეციალისტების მიერ ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა ზემოთაღნიშნულ მისამართზე მდებარე IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსის შენობას, სამშენებლო დოკუმენტის (პროექტის) დარღვევით განხორციელებული მშენებლობის (ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების) ვარგისიანობის, უსაფრთხოებისა და დარღვევების გათვალისწინებით განხორციელებული მშენებლობის, არსებული მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის საერთო მდგრადობაზე ზეგავლენის დასადგენად. ასევე განხილული იქნა ობიექტის შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაცია და კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

ქალაქ თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩა, №2ბ (ძველი მისამართი: ქალაქი თბილისი, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, (ნაკვეთი 09/033)), შ.პ.ს. „აკა“-ს (ID 404983791) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, ს/კოდი №01.10.06.009.042 მდებარე IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსის შენობა წარმოადგენს თვრამეტსართულიან ნაგებობას (ჩვიდმეტი მიწისზედა და ერთი მიწისქვეშა სარდაფის სართულით). მაქსიმალური გაბარიტული ზომებით ღერძებს შორის: 25,90X39,60 მეტრი. სარდაფის სართულის სიმაღლე შეადგენს 3,00მ; I სართულის სიმაღლე შეადგენს 3,70მ; დანარჩენი სართულების სიმაღლე შეადგენს 3,20მ; შენობის სვეტების ბიჯი გრძივი მიმართულებით შეადგენს: 6,60მ; (6 მალი); სვეტების ბიჯი განივი მიმართულებით შეადგენს: 6,60მ; (3 მალი) და 6,10მ; კონსტრუქციული სქემის მიხედვით შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასულ-კავშირებიანი ტიპისაა. ნაგებობების მზიდი კონსტრუქციები გაანგარიშებულია პროგრამული კომპლექსის „Lira-sapr 2013“-ის საშუალებით

სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას. ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს 85კგ/მ$^2$; თოვლის ნორმატიული დატვირთვა 50კგ/მ$^2$.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე საძირკვლების ფუძედ მიღებულია თიხოვანი გრუნტი საანგარიშო წინაღობით $R_0$=2,6კგძ/სმ$^2$; დეფორმაციის მოდულით E=240კგძ/სმ$^2$

დღევანდელი მდგომარეობით შენობაზე ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა დასრულებულია. ნაწილობრივ შესრულებულია მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსის ობიექტზე, 05. 08. 2018წ, ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან (არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება №3630519 23.10.2017წ, AR1548755) მიმართებაში, გამოვლენილი იქნა პროექტის დარღვევით ნაწარმოები, შემდეგი სახის სამუშაოები: „ფასადების მოპირკეთება ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს. ნაწილობრივ შეცვლილია გრუნტის ზედაპირის ნიშნულები. ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრების ნახატი. ფასადებზე აივნების ნაწილზე კაპიტალურ კედლებზე ფიქსირდება გამწოვი მილებისთვის განკუთვნილი ხვრელები, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია ამავე კედლების გაბარიტები. ნაწილობრივ შეცვლილია მოაჯირების ნახატი და მასალა. ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების გაბარიტები. რიგელების მოწყობა არ შეესაბამება პროექტში ნაჩვენებს, კერძოდ მათი კვეთი, რაოდენობა და მდებარეობა. მონოლითური და კაპიტალური კედლების დაფერვა არ შეესაბამება საპროექტოს. დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები. შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტები. შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების რაოდენობა და მდებარეობა. +54.90 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე. პროექტში არ არის ნაჩვენები ლიფტის სამანქანოსათვის განკუთვნილი ფილის დონე.

**„ა-ზ“ ფასადი**: +0.00 ნიშნულზე „ა-ბ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯარა. +17.70 ნიშნულზე „ბ“ ღერძთან აივნის ძირზე ფიქსირდება დეკორატიული ელემენტები.

**„ზ-ა“ ფასადი**: „ე-დ“ მონაკვეთში კიბის უჯრედთან შეცვლილია ღიობების გაბარიტები, ასევე ამავე მონაკვეთში დამატებით მოწყობილია რიგელები და კოლონები.

**„4-1“ ფასადი**: +54.90 ნიშნულზე „2-1“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ღიობი.

„2-2“ ჭრილი: პროექტში არ არის ნაჩვენები ლიფტის შახტის ორმო.

**გეგმების მიხედვით**: -3.00 ნიშნულზე შენობის კონტურზე შემცირებულია მონოლითური კედლების სისქე. -3.00 ნიშნულზე „ე“ ღერძზე „1-2“ მონაკვეთში და „2“ ღერძზე „დ-ე“ მონაკვეთში მონოლითურ კედლებს მონაცვლებული აქვთ ადგილი, ხოლო „4“ ღერძზე „გ-დ“ მონაკვეთში გაუქმებულია მონოლითური კედელი. -3.00 ნიშნულზე „4“ ღერძზე „ა-გ“ მონაკვეთში მონოლითურ კედლებში მოწყობილია ღიობები. ±0.00 ნიშნულზე შენობის კონტურზე ღიობების ნაწილი სრულად არის შევსებული. ±0.00 ნიშნულზე შენობის შიგნით გაუქმებულია პარკინგი. ამავე ნიშნულზე „4“ ღერძის გარეთ მოწყობილია კოლონები, რიგელები, ფილები და კაპიტალური კედლები, რის გამოც გაზრდილია ფართი და ტერიტორიაზე გაუქმებულია პარკირების ნაწილი. +3.70 ნიშნულზე „4“ ღერძის გარეთ „დ-ზ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სახაფხულო ფართი, ასევე „3“ ღერძთან დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი. +51.70 ნიშნულზე შეცვლილია სადარბაზოში კედლების მდებარეობა და შემცირებულია მისი ფართი. ამავე ნიშნულზე შეცვლილია ღიობების რაოდენობა, მდებარეობა და გაბარიტები. +51.70 ნიშნულზე „4“ და „დ“ ღერძების კვეთაზე დამატებით მოწყობილია კოლონა, ხოლო „დ“ ღერძზე „1“ ღერძის შიგნით გაუქმებულია კოლონა, ასევე „ა“ ღერძზე გაუქმებულია კოლონები. +51.70 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია გარე კონტურზე კედლების მდებარეობა, ასევე „3-4“ და „ა-დ“ მონაკვეთებში შემცირებულია ფილის გაბარიტი და შეცვლილია მისი ფორმა. +54.90 ნიშნულზე შეცვლილია პარაპეტის კონფიგურაცია.“

დეტალური ვიზუალური გამოკვლევის შედეგად, IV კლასის ობიექტის: მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის მზიდი კონსტრუქციები, კარგ ტექნიკურ მდგომარეობაშია, არ შეინიშნება რაიმე არასასურველი დეფორმაციების ნიშნები,

რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენს არსებული შენობის საერთო მდგრადობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლენილი პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამუშაოების დიდი ნაწილი, ძირითადად არქიტექტურული ხასიათისაა და არ ეხება ნაგებობის ძირითად მზიდ კონსტრუქციულ სისტემას.

რაც შეეხება კონსტრუქციული ხასიათის ცვლილებებს, შეთანხმებული პროექტის დარღვევით ნაწარმოები, შენობის მზიდი კონსტრუქციული ნაწილები შესრულებულია კორექტირებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით და მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად,.

არსებული ობიექტის როგორც შეთანხმებული პროექტის მიხედვით აშენებული ნაწილები, ასევე შეთანხმებული პროექტის დარღვევით ნაწარმოები, შენობის მზიდი კონსტრუქციული ნაწილები პასუხობს ნაგებობის კონსტრუქციული მდგრადობის მოთხოვნებს.

## დასკვნა:

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI" ადგენს, რომ ქალაქ თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩა, №2ბ (ძველი მისამართი: ქალაქი თბილისი, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, (ნაკვეთი 09/033)), შ.პ.ს. „აკა"-ს (ID 404983791) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, ს/კოდი №01.10.06.009.042 მდებარე IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსის შენობაში, სამშენებლო დოკუმენტის (პროექტის) დარღვევით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების დიდი ნაწილი არქიტექტურული ხასიათისაა და არ ეხება ნაგებობის ძირითად მზიდ კონსტრუქციულ სისტემას.

კონსტრუქციული ხასიათის ცვლილებები: შეთანხმებული პროექტის დარღვევით ნაწარმოები, შენობის მზიდი კონსტრუქციული ნაწილები შესრულებულია კორექტირებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით, შესაბამისი გაანგარიშების საფუძველზე და მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად.

სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით ნაწარმოები სამუშაოები უარყოფით ზეგავლენას არ ახდენენ ნაგებობის ძირითად მზიდ კონსტრუქციულ სისტემაზე.

ზემოთაღნიშნული IV კლასის ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის) მზიდი კონსტრუქციებივარგისია ნაგებობის უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის.

**შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის**
**აღმასრულებელი დირექტორი,**
**ექსპერტი–კონსტრუქტორი:** /ვახტანგ ჯაფარიძე/

საქართველო. შპს "ბაზისი XXI" * GEORGIA. "BAZISI XXI" LTD * 202235296

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 115518
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10105547
ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/09/2010 15:40:23

## სუბიექტი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: | შპს ბაზისი XXI |
| იურიდიული მისამართი: | საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, აღმაშენებლის გამზირი 63ა |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 202235296 |
| სამართლებრივი ფორმა: | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: | 12/12/2003 |
| სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: | 2/4-3679 |
| მარეგისტრირებელი ორგანო: | დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო |
| საგადასახადო ინსპექცია: | თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა |

## ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001003423, იოსებ ცერცვაძე,
  გენერალური დირექტორი, ,
- 01005021796, ვახტანგ ჯაფარიძე,
  , , აღმასრულებელი დირექტორი

## პარტნიორები

| | წილი | ანგარიშის ნომერი |
|---|---|---|
| 01001003423, იოსებ ცერცვაძე, | 100.00000000% | 202235296-SH-00001 |

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

# დიპლომი

წარჩინებით

ИВ № 257304

ეს დიპლომი მიეცა ვახტანგ ჯაფარიძეს

ვახტანგის გიორგის ძეს

მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა

სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის

ფაკულტეტზე და 1985 წელს დაამთავრა

სრული კურსი სპეციალობით ისტორია

და საშუალო სკოლის მასწავლებლის

კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო

კომისიის თავჯდომარე

ქალაქი თბილისი 1986 წ. 29 „ 05

# ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 257304

Настоящий диплом выдан Джапаридзе

Вахтангу Гиевичу

в том, что он в 1980 году поступил

в Государственный педагогический

институт им. Вл. Ленина

и в 1985 году окончил полный курс

университета

по специальности преподавание

истории в средней школе

Решением Государственной экзаменационной

комиссии от 1985 г.

присвоена квалификация учителя

Председатель Государственной

экзаменационной комиссии

М. П. Город Тбилиси „29“ 05 1986 г.






# ინფორმაცია საპროექტო და საექსპერტო სამუშაოთა შესახებ

მე, ვახტანგ ჯაფარიძე, 1985 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. „თბილქალაქ-პროექტ“-ში; 1997 წლიდან ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს; ასევე ვეწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას. 2004 წლიდან ვარ შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

**ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტები:**

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საგარეჯოს ქ. №7-7ა;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთევან წამებულის გამზ. №15-17;
- მიწისძვრისაგან დაზიანებული, ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გამაგრების პროექტი;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში;
- 10 სართულიანი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტი ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ღვინის ქარხანა ყვარელის რ/ნ, სოფელ შილდაში;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქ. №31;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შატბერაშვილის ქ. №7 და შატბერაშვილის ქ. №9;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარუხის გმირების ქ. №11;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ვ. ივერიელის ქ. №32 / საბადურის ქ. №32-32ა, №34;
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

**ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:**

- ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, სოფელ სართიჭალასა და სოფელ საკაძეში, შ.პ.ს. „ჩირინა“-ს მეფრინველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე, მდებარე შენობების საერთო მდგრადობისა და ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ; საექსპერტო შეფასებები კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შავიშვილის ქ. №1 / ქავთარაძის ქ. №19, შ.პ.ს. „მონოლითჯგუფი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. გურჯაანში, თავისუფლების ქუჩა № 6-ში, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ“-ის ავტოგასამართი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, №20/ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება მე-3 ქუჩა №17/ ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება I ქუჩა №22, ე.ს. ამხანაგობა „იმედი 2015“-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, ქინძმარაულის I შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „უნიმედი კახეთი“-ს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებული რეფერალური ჰოსპიტალის შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტზე.
- ქ. რუსთავში, სექტორი-ჟ. შარტავა, მიკრო/რაიონი XXI, №16 და №22 სახლებს შორის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №12-14-16 შ.პ.ს. „ბელი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №74, შ.პ.ს. „სალვუს დეველოპმენტი“-ს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა წინანდალი №9 შ.პ.ს. „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს საგანმანათლებლო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კახეთის გზატკეცილის მე-7 კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „R.I.G. GAS“-ის ნავთობბაზის ობიექტების პროექტის კონსრტუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა წინანდლის, №9, (ნაკვეთი №01/107) შ.პ.ს. „კარდიოლოგიური კლინიკა გული“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.13.001.315 არსებული საავადმყოფოს რეკონსტრუქციის (დაშენება-გადაჯდომით) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, შ.პ.ს. „აკა“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე №01.10.06.009.042 მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა ნარიმანოვი, №12, შ.პ.ს. „ემ. ჯი. ალიანსი“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხ. სახლის (ბლოკი: №1–№6) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ,
შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი: /ვ. ჯაფარიძე/

# შეთავაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

| | |
|---|---|
| შეთავაზებული თანამდებობა | ინჟინერ-კონსტრუქტორი |
| ფირმის დასახელება | „ბაზისი XXI“ |
| გვარი, სახელი | ჯაფარიძე ვახტანგ |
| პირადი № | 01005021796 |
| დაბადების თარიღი | 10. 06. 1963 |
| საცხოვრებლის მისამართი | ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №20 |
| ელ.ფოსტა | bazisi_xxi@yahoo.com |
| საკონტაქტო ტელეფონი | 595 27 21 27 |
| პროფესია | სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი |
| საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი | 32 წელი |
| ექსპერტად მუშაობის სტაჟი | 18 წელი |
| მოვალეობის დეტალურად აღწერა | სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება- დაპროექტება |
| განათლება 1980-1985წწ | უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი |
| ძირითადი კვალიფიკაციები 1985 წლიდან დღემდე | შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი“-ს წამყვანი კონსტრუქტორი, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის მთავარი კონსტრუქტორი |
| დაპროექტებული ობიექტები 1985-2017წწ | მრავალი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო დანიშნულების ობიექტები, შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტები |
| თარიღი | 27.07.2018წ |

| ენები | კითხვა | წერა | ლაპარაკი |
|---|---|---|---|
| ქართული | მშობლიური | მშობლიური | მშობლიური |
| რუსული | თავისუფლად | თავისუფლად | თავისუფლად |

დადასტურება
მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი ვახტანგ ჯაფარიძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

# ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01172192310**

თარიღი: **07.08.2017**

**ადრესატი:**
შპს აკა
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404983791
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მიცკევიჩის ქ., 29-29ა, სადარბაზო I, სართული 3, ბინა №15

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 97-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით შეისწავლა თქვენი 2017 წლის 13 ივნისის #10/01171643766-18 განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ შპს ,,აკა"ს კუთვნილ სამშენებლო ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, დიდ/დიღომი 1 მკ/რ-სა და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის საკ/კოდ 01.10.06.009.042) არსებული მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის ნებართვას.

სამსახურმა იხელმძღვანელა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს 26-ე მუხლის, I პუნქტის ბ) ქვეპუნქტის და შპს ,,ტაქსაცია"ს ექსპერტ არჩილ სუპატაშვილის საექსპერტო დასკვნის (07.06.2017) საფუძველზე და მიზანშეწონილად მიაჩნია გაიცეს ნებართვა 1 (ერთი) ძირი ზეხმელი და 2 (ორი) ძირი ამორტიზირებული ტირიფის ხის (დიამეტრებით 33.1სმ, 57.3სმ, 13.1სმ) მოჭრის თაობაზე მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირის მიერ, მითითებული წესის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად წარმოდგენილი იქნება საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულება, რომელშიც მითითებული უნდა იქნას შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამწლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება, როგორც ამას ითვალისწინებს ამ წესის $26^1$ მუხლი.

აქვე გაცნობებთ, რომ ნებართვის მიღების შემდგომ გევალებათ საკომპენსაციო რგვის ფარგლებში 3 (სამი) ძირი მინიმუმ 2,0 მ სიმაღლის ფოთლოვანი ნერგის დარგვა. საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგების დარგვას, ასევე მათ შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში, რის თაობაზეც სრულყოფილი ინფორმაცია მითითებული უნდა იქნას თქვენს მიერ წარმოსადგენ ხელშეკრულებაში. საკომპენსაციო რგვა უნდა განხორციელდეს თქვენსავე ტერიტორიაზე ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით (საკ/ტელ 599881586).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური გაცნობებთ, რომ შპს ,,აკა"ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, დიდ/დიღომი 1 მკ/რ-სა და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის საკ/კოდ 01.10.06.009.042), სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში გასცემს 1 (ერთი) ძირი #13 ტირიფის, 1 (ერთი) ძირი #82 დაფნის და 1 (ერთი) ძირი #97 კაკლის ხის მოჭრის და ექსპერტის რეკომენდაციის შესაბამისად 30 (ოცდაათი) ძირი ფოთლოვანი ხის (დაფნა, იფანი, ნეკერჩხალი, თუთა, კაკალი) გადარგვის ნებართვას ამავე დადგენილების 21-ე და 26-ე მუხლების შესაბამისად.

რაც შეეხება ხილ-კენკროვან მცენარეებს (ლეღვი, კარალიოკი, ვაშლი, ალუბალი, ბალი, მსხალი, ტყემალი, ატამი, ქლიავი, ნუში) მათი მოჭრა/გადარგვა ამავე დადგენილების 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ წერილობით ნებართვას არ საჭიროებს.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო
სამსახური - სამსახურის უფროსი

გიორგი წერეთელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება
"ტაძსაცია"

Limited Liability Company
"Taxation"

საქართველო, ქ. თბილისი,დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი,ვ.ბაგრატიონის ქ., N 52, ს/კ: 402038200

TEL:558235350

07.06.2017

შ.პ.ს. „აკა"–ს დირექტორს ლავრენტი ჯინჭარაძეს

ს/კ 404983791

მ/წლის 6 ივნისს ჩვენმა ექსპერტმა ა.სუპატაშვილმა (მეტყევე-ენტომოლოგი, ბიოლ. მეცნ. აკად. დოქტორი) შეისწავლა **მისამართი:** ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ნაკვეთი 09/033. **საკადასტრო კოდი:** 01.10.06.009.042 არსებული ხე–მცენარეების მდგომარეობა.

სულ ტერიტორიაზე არის 97 ერთეული მწვანე ნარგავი, საიდანაც საშენებლო არეალში მოყვა 74 ერთეული, მათ შორის; 38 ერთეული ხილ-კენკროვანია და არ საჭიროებს ნებართვას, ხოლო 30 ერთეული შესაძლებელია გადაირგოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მოსაჭრელია მხოლოდ 6 ერთეული ხე–მცენარე. წარმოგიდგენთ დასკვნას ხე–მცენარეების მდგომარეობის შესახებ.

დირექტორი
თემურ თვალიაშვილი

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება
"ტაძსაცია"

Limited Liability Company
"Taxation"

მისამართი: ქ. თბილისი,დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი,ვ.ბაგრატიონის ქ., N 52, ს/კ: 402038200

TEL:558235350

# ხენარეების აღრიცხვის უწყისი

06.06.2017

რთი: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ნაკვეთი 09/033.

ასტრო კოდი: 01.10.06.009.042

თი: შპს „აკა" ს.კ :404983791

## ხე–მცენარეების აღრიცხვის უწყისი

დანართი-1

| ეების ომერა-ციის ედვით | სახეობა | გარშემო– წერილობა | დიამეტრი 10–სმ ზე | დიამეტრი 130–სმ ზე | ასაკი წელი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 სმ–ზე | სმ | სმ | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 7 | | |
| 1 | დაფნა | 40,0 | 12,7 | | | ექვ. გადარგვას |
| 5 | ტირიფი | 104,0 | 33,1 | | | ამორტიზირებ |
| 6 | ალუბალი | 16,0 | 5,1 | | | ხილ–კენკროვანი |
| 7 | იფანი | 10,0 | 3,1 | | | ექვ. გადარგვას |
| 8 | იფანი | 10,0 | 3,1 | | | ექვ. გადარგვას |
| 9 | წეკერჩხალი | 10,0 | 3,1 | | | ექვ. გადარგვას |
| 10 | წეკერჩხალი | 20,0 | 6,3 | | | ექვ. გადარგვას |
| 13 | ტირიფი | 81,0 | 25,7 | | | საღი |
| 15 | ტირიფი | 25,0 | 7,9 | | | ექვ. გადარგვას |
| 16 | იფანი | 29,0 | 9,2 | | | ექვ. გადარგვას |
| 17 | იფანი | 22,0 | 7,1 | | | ექვ. გადარგვას |
| 18 | იფანი | 25,0 | 7,9 | | | ექვ. გადარგვას |
| 19 | ტირიფი | 180,0 | 57,3 | | | ამორტიზირებ |
| 20 | წეკერჩხალი | 23,0 | 7,3 | | | ექვ. გადარგვას |
| 22 | წეკერჩხალი | 20,0 | 6,3 | | | ექვ. გადარგვას |
| 23 | წეკერჩხალი | 32,0 | 10,1 | | | ექვ. გადარგვას |
| 24 | წეკერჩხალი | 23,0 | 7,3 | | | ექვ. გადარგვას |
| 25 | ალუბალი | 21,0 | 6,6 | | | ხილ–კენკროვანი |
| 26 | ალუბალი | 23,0 | 7,3 | | | ხილ–კენკროვანი |
| 27 | ალუბალი | 33,0 | 10,5 | | | ხილ–კენკროვანი |
| 28 | ალუბალი | 21,0 | 6,6 | | | ხილ–კენკროვანი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23 | 30 | ალუბალი | 27,0 | 8,5 | | | ხილ–კენკროვანი |
| 24 | 31 | ალუბალი | 26,0 | 8,2 | | | ხილ–კენკროვანი |
| 25 | 32 | ალუბალი | 25,0 | 7,9 | | | ხილ–კენკროვანი |
| 26 | 34 | ჭერამი | 94,0 | 29,9 | | | ხილ–კენკროვანი |
| 27 | 35 | ტყემალი | 90,0 | 28,6 | | | ხილ–კენკროვანი |
| 28 | 36 | ლეღვი | 58,0 | 18,4 | | | ხილ–კენკროვანი |
| 29 | 37 | კარალიოკი | 42,0 | 13,3 | | | ხილ–კენკროვანი |
| 30 | 38 | ალუბალი | 45,0 | 14,3 | | | ხილ–კენკროვანი |
| 31 | 39 | ბალი | 64,0 | 20,3 | | | ხილ–კენკროვანი |
| 32 | 40 | წუში | 27,0 | 8,5 | | | ხილ–კენკროვანი |
| 33 | 41 | ლეღვი | 56,0 | 17,8 | | | ხილ–კენკროვანი |
| 34 | 42 | მსხალი | 35,0 | 11,1 | | | ხილ–კენკროვანი |
| 35 | 43 | ალუბალი | 37,0 | 11,7 | | | ხილ–კენკროვანი |
| 36 | 44 | კარალიოკი | 28,0 | 8,9 | | | ხილ–კენკროვანი |
| 37 | 45 | ქლიავი | 84,0 | 26,7 | | | ხილ–კენკროვანი |
| 38 | 46 | ქლიავი | 83,0 | 26,4 | | | ხილ–კენკროვანი |
| 39 | 54 | თუთა | 35,0 | 11,1 | | | ექვ. გადარგვას |
| 40 | 55 | თუთა | 54,0 | 17,1 | | | ექვ. გადარგვას |
| 41 | 57 | თუთა | 65,0 | 20,7 | 17,1 | | ექვ. გადარგვას |
| 42 | 58 | თუთა | 30,0 | 9,5 | | | ექვ. გადარგვას |
| 43 | 59 | დაფნა | 26,0 | 8,2 | | | ხილ–კენკროვანი |
| 44 | 60 | ქლიავი | 48,0 | 15,2 | | | ხილ–კენკროვანი |
| 45 | 61 | ქლიავი | 63,0 | 20,1 | | | ხილ–კენკროვანი |
| 46 | 62 | ქლიავი | 40,0 | 12,7 | | | ხილ–კენკროვანი |
| 47 | 63 | ვაშლი | 30,0 | 9,5 | | | ხილ–კენკროვანი |
| 48 | 64 | ალუბალი | 32,0 | 10,1 | | | ხილ–კენკროვანი |
| 49 | 68 | ჭერამი | 47 | 14,9 | | | ხილ–კენკროვანი |
| 50 | 69 | ალუბალი | 35 | 11,1 | | | ხილ–კენკროვანი |
| 51 | 70 | ჭერამი | 76 | 24,2 | | | ხილ–კენკროვანი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 53 | 74 | ჭერამი | 80 | 25,4 | | | კენკროვანი |
| 54 | 75 | ტყემალი | 47 | 14,9 | | | ხილ–კენკროვანი |
| 55 | 76 | თუთა | 41 | 13,1 | | | ექვ. გადარგვას |
| 56 | 77 | თუთა | 70 | 22,2 | 17,5 | | ექვ. გადარგვას |
| 57 | 78 | ვაშლი | 32 | 10,1 | | | ხილ–კენკროვანი |
| 58 | 79 | ქლიავი | 41 | 13,1 | | | ხილ–კენკროვანი |
| 59 | 80 | დაფნა | 32 | 10,1 | | | ექვ. გადარგვას |
| 60 | 81 | დაფნა | 44 | 14,1 | | | ექვ. გადარგვას |
| 61 | 82 | დაფნა | 96 | 30,5 | | 33 | საღი |
| 62 | 83 | ნეკერჩხალი | 57 | 18,1 | 16,1 | | ექვ. გადარგვას |
| 63 | 84 | დაფნა | 35 | 11,1 | | | ექვ. გადარგვას |
| 64 | 85 | დაფნა | 32 | 10,1 | | | ექვ. გადარგვას |
| 65 | 86 | დაფნა | 24 | 7,6 | | | ექვ. გადარგვას |
| 66 | 87 | ალუბალი | 32 | 10,1 | | | ხილ–კენკროვანი |
| 67 | 88 | ალუბალი | 40 | 12,7 | | | ხილ–კენკროვანი |
| 68 | 89 | ალუბალი | 27 | 8,5 | | | ხილ–კენკროვანი |
| 69 | 91 | ბალი | 88 | 28,1 | | | ხილ–კენკროვანი |
| 70 | 93 | ნეკერჩხალი | 27 | 8,5 | | | ექვ. გადარგვას |
| 71 | 94 | კაკალი | 35 | 11,1 | | | ექვ. გადარგვას |
| 72 | 95 | კაკალი | 73 | 23,2 | 17,3 | | ექვ. გადარგვას |
| 73 | 96 | კაკალი | 76 | 24,2 | 17,4 | | ექვ. გადარგვას |
| 74 | 97 | კაკალი | 128 | 40,7 | | 35 | საღი |

სულ ტერიტორიაზე აღირიცხა 97 მცენარე, მათ შორის სამშენებლო ტერიტორიაზე მოყვა 74 ერთეული მწვანე ნარგავი, საიდანაც 38 ერთეული ხილ-კენკროვანია და არ საჭიროებს ნებართვას, ხოლო 30 ერთეული შესაძლებელია გადაირგოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მოსაჭრელია მხოლოდ 6 ერთეული ხე–მცენარე, მათ შორის 2 ერთეული ამორტიზირებულია (ტირიფი განეკუთვნება სწრაფმოზარდ სახეობას და მიღწეული აქვს საამორტიზაციო ხნოვანება), 1 ერთეული ზეხმელია, (დაკარგული აქვს მერქნის თავდაპირველი სიმკვრივე და განკურნება ფაქტობრივად შეუძლებელია), ხოლო 3 ერთეული არის საღი და პირდაპირ აფერხებს სამშენებლო სამუშაოებს.

შემსრულებელი: ა.სუპატაშვილი მეტყევე-ენტომოლოგი, ბიოლ. მეცნ. აკად. დოქტორი

# ხელშეკრულება

ქ. თბილისი 27.09.2017 წ

ერთის მხრივ შპს „აკა“ ს/კ 404983791 წარმოდგენილი დირექტორის ლავრენტი ჯინჭარაძის მიერ (შემდგომში წოდებული „დამკვეთად„) და მეორეს მხრივ მებაღეთა პროფესიული გაერთიანება ს/კ 400209323 წარმოდგენილი გაერთიანების აღმასრულებელი დირექტორის დავით სამხარაძის სახით (შემდგომში წოდებული „შემსრულებლად“), ერთობლიობაში წოდებული მხარეებად, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მხარეები თანხმდებიან, რომ „შემსრულებელი“ „დამკვეთისთვის“ უზრუნველყოფს სამუშაოებს, იმ წესითა და პირობებით, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.
1.2 ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურება გულისხმობს დამკვეთისთვის სამი ძირი ფოთლოვანი არანაკლებ 2 მეტრი სიმაღლის ხის დარგვასა და მის შემდგომ სამი წლით მოვლის ვალდებულებას.
1.3 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება „შემსრულებლის“ მიერ დაიწყება დამკვეთის მოთხოვნისთანავე.

## 2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

2.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.
2.2 მხარეები თანხმდებიან, რომ პუნქტი 1.1 გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ინვოისით.
2.3 ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება შემდეგი სახით: სახელშეკრულებო თანხის ჩარიცხვა ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში

## 3. მხარეთა ვალდებულებანი

3.1 „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას 1.1 პუნქტში მითითებული მომსახურება შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადასა და პირობებში, საყოველთაოდ მიღებული ნორმებისა და სტანდარტების დაცვით.
3,2 „დამკვეთი“იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით აწარმოოს ანგარიშსწორება „შემსრულებელთან“. უზრუნველყოს ჩასატარებელი სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელება.

## 4. ფორს მაჟორი

4.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ კი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო;
4,2,დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, წარმოიშვნენ მხარეთა ნების გარეშე და რომელთა დადგომის და მოქმედების კონტროლი აღემატება მხარეთა გონივრულ კონტროლს;
4,3 მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. თუ ასეთი შეტყობინება არ იქნება გაკეთებული 3 დღის ვადაში, დამრღვევ მხარეს უფლება არა აქვს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნით მიუთითოს ასეთ გარემოებებზე, თუ კი შეტყობინების გაუგზავნებლობა არ იყო გამოწვეული ამ გარემოებებით;

## 5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და გრძელდება 3 წლის განმავლობაში
5.2 ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღად ითვლება წინამდებარე ხელშეკრულების პირველ გვერდზე აღნიშნული თარიღი.

5.3 წინამდებარე ხელშეკრულების გაუქმება შესაძლებელია:
5.3.1 მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით;

6. ზოგადი დებულებები

ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან.
მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილად იქნება ცნობილი, აღნიშნული არ მოახდენს არანაირ გავლენას ხელშეკრულების სხვა მუხლების ან მთლიანობაში ხელშეკრულების ბათილობაზე.
მხარეები თანხმდებიან რომ ის ურთიერთობანი რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებულ იქნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად. თითო-თითო ეგზემპლიარი გადაეცემა მხარეებს.

7. მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი - შპს „აკა“
ს/კ 404983791
საქართველო, თბილისი, მიცკევიჩის 29-29ა, ბ.15

„შემსრულებელი” - მებაღეთა პროფესიული გაერთიანება
ს/კ. 400209323
საქართველო, თბილისი. ვასილ თამარაშვილის 32

დამკვეთი:

შემსრულებელი: